



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

პორონომისარი პრიზისი და საქართველოს ეკონომიკის  
ზოგიერთი გამოცვება

3ლაზიგერ პაკავა  
ვაცხანგ ჭარაძა

136

ეპსკონტის აზრი





საქართველოს სტრატეგიულის და საერთაშორისო ურთისებრობაზე კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა  
ვახტაცე ჭარაძა

კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის  
ზოგიერთი გამოცვევა

136

2020



პუბლიკაცია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების  
საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში  
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და  
შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის  
გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი,  
მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული  
მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს  
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის  
ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

თანამედროვე მსოფლიო დადგა ახალი COVID-19-ის გლობალური გავრცელებით გამოწვეული საფრთხეების წინაშე, რამაც ეკონომიკას თვისებრივად ახალი პრობლემები გაუჩინა. გლობალურმა კრიზისა საქართველოსა და მისი ეკონომიკისთვის შექმნა არაერთი სირთულე, რასაც სათანადო გააზრება და შესაბამისი მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება ესაჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს ატიპური პნევმონიის აფეთქება სიცოცხლისთვის უფრო მეტი საფრთხის შემცველი იყო, კორონავირუსის ახალი შტამი ბევრად უფრო გადამდები დაავადება აღმოჩნდა. შედეგად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა COVID-19-ის გავრცელება პანდემიად შეაფასა<sup>1</sup>.

პრობლემა იმანაც გაართულა, რომ ყველა იმ ქვეყნის მთავრობას, სადაც კორონავირუსია გავრცელებული, ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა სირთულის ამოცანის გადაჭრასთან ჰქონდა საქმე. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ქვეყნების მთავრობები არსებულ სიტუაციას შეგნებულად მალავდნენ იმ დრომდე, სანამ ეს შესაძლებელი იყო, ანუ სანამ კორონავირუსის გავრცელაბამ ძალზე დიდი მასშტაბი არ მიიღო. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩინეთი<sup>2</sup> და ირანი<sup>3</sup>.

სამწუხაროდ, კურიოზულად უნდა ჩაითვალოს აშშ-ის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო მდივნის პოზიცია, რომელიც მიიჩნევს, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა და გავრცელება უმთავრესად კერძო სექტორის, და არა მთავრობის, პრეროგატივა უნდა იყოს<sup>4</sup>. ამგვარი მიდგომა ძირშივე მცდარია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფაქტობრივად საქმე გვაქვს პანდემიასთან, რასთან გამკლავებაც მთავრობის აქტიური მოქმედების გარეშე შეუძლებელია<sup>5</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსი, უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო პრობლემაა, ამ ეტაპზე მას უკვე აქვს მსოფლიოს 190-ზე მეტი ქვეყნის ეკონომიკაზე აშკარად გამოხატული უარყოფითი ზეგავლენა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მსოფლიო დადგა ახალი ეკონომიკური კრიზისის საფრთხის წინაშე<sup>6</sup>.

დღემდე ეკონომისტები, როგორც წესი, იკვლევდნენ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას ზოგადად ჯანდაცვის სისტემაზე<sup>7</sup>, მოსახლეობის ფინანსურ ჯანმრთელობასა<sup>8</sup> და ინფექციურ დაავადებათა გავრცელებაზე<sup>9</sup>.

მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ კი პირიქით დასვა საკითხი, რომ კორონავირუსი და მისი გლობალურად გავრცელება

უკვე არის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი<sup>10</sup>, რომ კორონავირუსი პრაქტიკულად „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნება<sup>11</sup>.

კორონავირუსის გავრცელების ეკონომიკაზე ზეგავლენის პრობლემაზე ყურადღების გამახვილების მიზნით მისასალმებელია პროფესორ აჯით დე ალვისის (Prof. Ajith de Alwis) მიერ ახალი ტერმინ „კორონომიკსის“ („Coronomics“) შექმნა, რომელიც მიიღება ორი ტერმინის „კორონა“ („Corona“) და „ეკონომიკსის“ („Economics“) გაერთიანებით და შეისწავლის კორონავირუსის უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს<sup>12</sup>. მოგვიანებით გამოჩნდა სხვა მსგავსი ტერმინიც – „კორონანომიკა“ („Coronanomics“)<sup>13</sup>.

კორონომიკის აქტუალურობას არა მარტო ის განაპირობებს, რომ დღეს უკვე გამოცხადებულია კორონავირუსის პანდემია, არამედ ისიც, რომ ამ ტიპის გლობალური საფრთხეები, სავარაუდოდ, არც მომავალშია გამორიცხული და ამ პირობებში მსოფლიომ უნდა ისწავლოს ცხოვრება და ეკონომიკური საქმიანობა<sup>14</sup>.

აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ მსოფლიო დგას არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, როცა მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა, ანუ როცა ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს – კორონავირუსის – სწრაფი გავრცელებით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე მთელი მსოფლიო დგას კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებული, ახალი ტერმინით – „კორონომიკური კზისის“ (“Coronomic Crises”) საფრთხის წინაშე.

ფაქტია, რომ ჯერჯერობით ბოლომდე ნათელი არ არის არც კორონავირუსის დაძლევის მომავალი და არც მისი გავრცელების შეზღუდვის ძალისხმევის ეფექტიანობა, რის გამოც მეტ-ნაკლებად მკაფიო ეკნომიკური პროგნოზების გაკეთება ეკონომიკური აგენტების შესაძლო ქცევასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ძალზე გართულებულია<sup>15</sup>.

ეკონომისტებისთვის ეკონომიკური კრიზისის ჩამოსაყალიბებლად ეკონომიკური ვარდნა უნდა დაფიქსირდეს, სულ ცოტა, ორი კვარტალის განმავლობაში. მაშასადამე, ის კორონომიკის პირობებში ჩამოყალიბდება თუ არა, ეკონომიკური კრიზისი დამოკიდებულია იმაზე, თუ პანდემია რამდენ ხანს გასტანს, ანუ იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მედიკოსებს, ბიოლოგებსა და

ფარმაკოლოგებს, რომ დაძლიონ ეს დაავადება. სხვა სიტყვებით, დღეს ეკონომიკა მედიცინის მძევალია.

ეკონომიკურმა სირთულეებმა ჩინეთსა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში უკვე იქნია უარყოფითი ზეგავლენა<sup>16</sup>. როცა მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკის მქონე ქვეყნაში, ჩინეთში, დაიხურა არერთი კომპანია, როცა მსგავსი სირთულეების წინაშე დადგნენ ევროკავშირის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, აშკარაა, რომ მსოფლიო „კორონომიკური კრიზისის“<sup>17</sup> საფთხის წინაშე რეალურად დადგა.

ალსანიშნავია, რომ ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებასაც ყველაზე აქტიურად განიხილავენ ეკონომისტები, ძირითადად უკავშირდება 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებას<sup>18</sup>. ამასთან ერთად აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ამ გლობალური კრიზისის წყარო უშუალოდ ეკონომიკაში იყო, მაშინ, როცა კორონომიკური კრიზისი, თუკი ის მაინც ჩამოყალიბდა, უშუალოდაა დაკავშირებული კორონავისრუსის დამარცხებაში მედიცინის წარმატებასთან. საყურადღებოა, რომ ამ ორ კრიზისს შორის მსგავსების ძიება შეცდომად უნდა ჩაითვალოს<sup>19</sup>.

ერთ-ერთი პირველი, რაც კორონავირუსმა ეკონომიკაში დააზარალა, ტურისტული სექტორია. ასევე ზიანი მიადგა სამგზავრო ავიაგადაზიდვებს. საფონდო ბაზრებზე დაფიქსირებულმა ვარდნამ კი უშუალო ასახვა პპოვა ეკონომიკის რეალურ სექტორზე. 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომისტების ხელთაა ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა საგადასახადო შეღავათების დაწესება ან საშემოსავლო გადასახადისა (payroll) და დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთების შემცირება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ლიკვიდურობის უზრუნველყოფით ღონისძიებების გატარება, მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ნაწილის სოციალური დაცვის გაძლიერება. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებების გარდა, აშკარად პრიორიტეტულია მთავრობის მიერ ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა. ის, თუ რამდენად საკმარისი იქნება ამ ღონისძიებების გატარება კორონომიკური კრიზისის პირობებში, დღიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მედიცინას კორონავირუსისგან სამკურნალო პრეპარატის, ასევე შესაბამისი ვაქცინის შექმნას, დამზადებასა და გავრცელებას.

საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი ლონისძიებები საბოლოო ჯამში გამოიწვევს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას და, დიდი ალბათობით, ეს იქნება პანდემიით მოცული ყველა ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი პოსტკრიზისული პრობლემა. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ის, თუ რა ტიპის ლონისძიებები უნდა გატარდეს კორონომიმიკური კრიზისის და რა ტიპის – პოსტკრიზისულ პერიოდში.

ის, რომ ეკონომიკა თითქმის გაჩერდა ჩინეთსა და ევროპის არაერთ ქვეყანაში, პირდაპირ აისახა არა მარტო მოთხოვნის შემცირებაზე, არამედ, კიდევ უფრო მეტად, მიწოდების შემცირებაზე<sup>20</sup>.

მოთხოვნის შემცირებასთან შედარებით, მიწოდების უფრო მეტად შემცირება უშუალოდ აისახება ინფლაციის ზრდაზე. მისი მოთოკვა ცენტრალური ბანკების ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მხოლოდ იმ შემთხვავაში გახდება შესაძლებელი, თუ გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები. ეს კი, თავის მხრივ, ისევ და ისევ უარყოფითად აისახება მიწოდებასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

მიწოდების შემცირებით გამოწვეული ინფლაციის მოთოკვა იმ ცენტრალური ბანკებისთვის, რომლებიც გადასული არიან ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე, როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდის შეფერხების გარეშე შეუძლებელია<sup>21</sup>. კორონომიკური კრიზისი, ჩინენი აზრით, კიდევ ერთ არგუმენტს მისცემს ეკონომისტებს იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ ვერ მუშაობს ინფლაციის თარგეთირების მექანიზმი განსაკუთრებით იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში<sup>22</sup>.

კორონავირუსის გავრცელებამ გარევეული ბიძგი მისცა იმ იდეებს, რომლებიც ენინაალმდეგებიან თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა აშკარაა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ენინაალმდეგებიან გლობალიზაციას, უფრო მეტად დაზარალდებიან სწორედ პანდემიის პირობებში<sup>23</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია გლობალური ფენომენია და კორონომიკური კრიზისი მთელი მსოფლიოს საფრთხეა, იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკისთვის აშკარად დამდუპველი გზაა. პირიქით, პოსტკრიზისულ პერიოდში აუცილებელია მოხდეს ლირებულებითი ჯაჭვებისა და მიწიდებათა ჯაჭვების დივერსიფიკაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს პოტენციური რისკების შემცირება<sup>24</sup>.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩინეთში თავმოყრილი მსხვილი კომპანიების დეკონცენტრაცია, რაც მომავალში ხელს შეუწყობს იმ რისკების

შემცირებას, რომლებიც დაკავშირებულია გლობალურ საფრთხეებთან.

კორონომიკის პირობებში ნათელი გახდა, რომ მსხვილი კომპანიებისათვის შესაძლოა განსაკუთრებით მიმზიდველი გახდეს ჩინეთიდან თავიანთი ქარხნების გატანა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჩინეთთან უკვე აქვთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

ევროკავშირთან მიმართებით ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ისეთი ქვეყნები (მაგალითად, ისლანდია, საქართველო, შვეიცარია და სხვ.), რომელთაც თავისუფალი ვაჭრობა ერთდროულად აქვთ ევროკავშირთანაც და ჩინეთთანაც. თუმცა, განსაკუთებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად ევროკავშირსა და ჩინეთს შორისაა და ის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანში მდებარეობს. აქვე გასათვალისწინებელია აშშ-ის დაინტერესებაც, ჰქონდეს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება<sup>25</sup>. საქართველოს გამოყენება რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად კი პოსტკრიზისული განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს.

კორონომიკური კრიზისის გამოწვევებმა შეაღწიეს როგორც ადგილობრივ, ისე სართაშორისო დონეზე და გასცდნენ ეკონომიკური პრაგმატულობის ფარგლებს. სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანას შემოაქვს საგანგებო მდგომარეობა და განიხილება ცალკეული კომპანიების (რკინიგზის, საავადმყოფოების და ა.შ.) ნაციონალიზაცია<sup>26</sup>. სავარაუდოდ, ამ მექანიზმის გამოყენება საქართველოში არ უნდა გახდეს საჭირო, თუმცა საგანგებო ვითარებაში მთავრობას ეძლება უფლება, ესა თუ ის ობიექტი გამოიყენოს ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე.

ეკონომიკური საფუძვლის მქონე სტანდარტული კრიზისის დროს ერთ-ერთ პრაგმატულ გადაწყვეტილებად ეკონომიკის სტიმულირება მიიჩნევა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების გზით ხორციელდება. თუმცა, გაურკვეველია იმუშავებს თუ არა აღნიშნული მიდგომა კორონომიკური კრიზისის დროს. კერძოდ, სტანდარტულ შემთხვევაში ინფრასტრუქტურის დაფინანსება, თავის მხრივ, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. დამატებითი სამუშაო ადგილები აჩენს ახალ შემოსავლებს კონკრეტულ ოჯახებში. დამატებითი შემოსავლები ხდება დამატებითი ხარჯების გაღების წყარო და რაც მეტია ეს შემოსავალი, მით უფრო

მრავალფეროვანია ხარჯების სტრუქტურაც, კერძოდ, ის იწყება ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით და ეტაპობრივად გადადის გართობისა და დასვენების ინდუსტრიაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე, ტექნიკის შეძენაზე, უკეთეს საცხოვრებელ პირობებსა თუ, ზოგადად, ცხოვრების სტილზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ გაურკვევლობით შეცყრობილი კორონომიკური კრიზისის პირობებში რთულია იმის მტკიცება, რომ მთავრობის ეკონომიკურმა სტიმულირებამ შესაძლოა ეკონომიკური გაჯანსაღება გამოიწვიოს. მაღალი ალბათობით, არსებულ მდგომარეობაში ადამიანები მაინც პირველადი საჭიროების, სურსათისა და მედიკამენტების, მომარაგებაზე იქნებიან ორიენტირებული, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს მაგალითზე იმპორტის მაღალი დოზითაა გამორჩეული და, შესაბამისად, ქვეყანას ისევ იმავე მოჯადოებულ წრეში ტოვებს. უკეთეს შემთხვევაში, ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოსტკრიზისულ პერიოდში.

არსებულ მდგომარეობაში საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა და განსაკუთრებით მიმზიდველად კი – იმპორტის ჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოება, თუნდაც სამედიცინო ანტისეპტიკური საშუალებების, პირბადეებისა თუ პირველადი საჭიროების სურსათის წარმოების ჭრილში. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არცთუ ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და, უნინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კრიზისის ხანგრძლივობაზე.

შესაძლოა, ვირუსთან ბრძოლა დასრულდეს მომდევნო ერთ, ორ ან თუნდაც სამ თვეში, რა დრომიც სანარმოს შექმნა, მისი ამუშავება და პირველი პროდუქტის მიღება, ხშირ შემთხვევაში, არცყი იყოს შესაძლებელი. უკვე შემდგომ მნიშვნელოვანია გასაღების ბაზრის სტაბილურობა. შესაძლებელია ამ წუთისთვის გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ მიზანშეწონილი იყოს არსებულ ფასად დამატებითი პროდუქციის წარმოება, მაგრამ კრიზისული პერიოდის დაძლევის შემდეგ დასჭირდება თუ არა ეს პროდუქტი თუნდაც ადგილობრივ ბაზარს და რამდენად გაუწევს ის კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქტს, სათუო იქნება. ცალკე საკითხია ის, თუ რამდენად დასჭირდება ქვეყანას პოსტკრიზისულ პერიოდში ეს წარმოება, როდესაც მსოფლიო დაუბრუნდება თავის ჩვეულ ან მასთან მიახლოებულ ცხოვრების რიტმს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ადგილობრივ წარმოებას არ გააჩნია მომავალი. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ გამოვჩინოთ ზომიერება და პრაგმატულობა, მოვახდინოთ დარგების მაქსიმალური დივერსიფიცირება და ვცადოთ პრობლემების სწორად აღქმა. მაგალითად, მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო სამუშაოების მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება. ამისთვის, უნინარეს ყოვლისა, აუცილებელია სათესლე მასალით სოფლების უზრუნველყოფა. ამ სფეროში ქვეყანა დადებით შედეგებს ოპერატორლად მიიღებს, ხოლო შედარებით გრძელვადიანი ეფექტის მქონე დარგებში კი აუცილებელია შესაბამისი რისკსცენარების გათვალისწინება.

ჩინეთის ეკონომიკის დროებითმა “შეჩერებამ” და ავიაკომპანიების მიერ მგზავრთა გადაყვანის მიზნით ფრენების შეწყვეტამ შეამცირა ნავთობზე მოთხოვნა, რამაც, სხვა თანაბარ პირობებში, მსოფლიოში ნავთობის ფასების კლება გამოიწვია. ამის საწინააღმდეგოდ, კორონომიკური კრიზისით გამოწვეული გაურკვეველობით ცდილობენ ცალკეული ნავთობმომპოვებელი ქვეყნები მსოფლიო ბაზრის ახალ გადანაწილებას. ფაქტია, რომ ერთობლივმა მოთხოვნამ ამ პროდუქტზე იყლო, ხოლო მიწოდება კი იზრდება, რაც, საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე, მის ფასს ამცირებს. 2020 წლის დასაწყისთან მიმართებით, მარტის მეორე დეკადის ბოლოსთვის ბრენტის ტიპის ნავთობზე მსოფლიო ფასი 2-ჯერ და უფრო მეტადაა შემცირებული და 27 აშშ დოლარს უტოლდება, რაც მრავალი ნავთობმომპოვებელი ქვეყნისთვის წარმოების დანახარჯებზე ნაკლებია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პრობლემას უქმნის ფისკალურ და საგადასახდელო ბალანსის წესრიგს<sup>27</sup>. ამასობაში კი საუდის არაპეტი ზრდის წარმოებას და ეტაპობრივად ჯერ 10, ხოლო აპრილის დასაწყისისთვის კი 13 მილიონ ბარელამდეც კი აპირებს გაზრდას<sup>28</sup>.

ერთ-ერთი საყურადღებო კვლევის თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით მიწოდებამ მსოფლიო ბაზარზე არსებულ დღე-ლამის მოთხოვნას (დაახლოებით 100 მილიონი ბარელი) შესაძლოა 20 მილიონი ბარელით გადააჭარბოს<sup>29</sup>. შედარებით რბილია თავის პროგნოზში, თუმცა იმავე მიმართულებას ავითარებს Goldman Sachs-ი, რომელის შეფასებითაც, სიჭარებე დღე-ლამეში დაახლოებით 3,9-5,7 მილიონი ბარელის ტოლი იქნება<sup>30</sup>. მსოფლიოში არსებული “ნავთობის შემნახველი საცავების” გათვალისწინებით, რომელიც დაახლოებით 1 მილიარდ ბარელს შეადგენს, მათი შეესება პირველი სცენარის შემთხვევაში დაახლოებით 3 თვის, ხოლო მეორე სცენარის შემთხვევაში კი 6 თვის საკითხია.

ნავთობის ფასების კლებასთან დაკავშირებით არ დააყოვნა აშშ-ის გადაწყვეტილებამ შეავსონ თავისი საცავები<sup>31</sup>, რასაც, სავარაუდოდ, 10 კვირაზე მეტი არ დასჭირდება<sup>32</sup>. აღნიშნული სცენარების მიხედვით, ვადის გასვლის შემდგომ არაა გამორიცხული ნავთობის ფასები ნულს ქვემოთ ჩამოვიდეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნავთობექსპორტიორებს მოუწევთ თანხის დამატება იმპორტიორებისთვის, რომ წარმოებული ნავთობის მარაგები მათი ჭაბურლილებიდან წააღებინონ<sup>33</sup>. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მსგავსი შემთხვევა ენერგეტიკის სფეროში სხვადასხვა ქვეყანაში აღრეც დაფიქსირებულა<sup>34</sup>.

რთულია იმის პროგნოზირება, თუ რამდენ ხანს გასტანს 2020 წლის „ნავთობის ფასების ომი“ და, შესაბამისად, მიაღწევს თუ არა ის უარყოფით ნიშნულს, რადგანაც ეს შესაძლოა გასცდეს უშუალოდ ნავთობით ვაჭრობის საკითხს და სხვადასხვა ქვეყნის გეოპოლიტიკური და თუნდაც სამხედრო ქმედებების წინაპირობადაც კი გადაიქცეს. თუმცა, საუდის არაბეთი მოვლენათა შემდგომ განვითარებას არ უფრთხის და სახელმწიფო ნავთობკომპანია Saudi Aramco-ს უკვე დაევალა დამატებით 10,25 აშშ დოლარიანი ფასდაკლებით (20 დოლარზე ნაკლები ღირებულებით) დამატებით 300 ათასი ბარელის რეზერვებიდან და 250 ათასი ბარელის ადგილობრივი ბაზირდან ამოღება და მსოფლიო ბაზარზე გატანა, რასაც თავად საუდის არაბეთი ადგილობრივ ბაზარზე ბუნებრივი აირით დაკომპენსირებს.

ნავთობზე მსოფლიო ფასების შემცირება არაერთმნიშვნელოვან ზეგავლენას გამოიწვევს ნავთობიმპორტიორ ქვეყნებზე, მათ შორის, საქართველოზეც. მისი აზერბაიჯანთან და რუსეთთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ამ ქვეყნების ვალუტების გაუფასურება, რაც უშუალოდ აისახება ლარზეც. ამასთან, ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასების კლების გამო კორონომიკური კრიზისის პირობებში ამ ქვეყნებიდან საქართველოში შემცირდება ფულადი გზავნილები.

ეს უკანასკნელი ასევე შემცირდება ნებისმიერი სხვა ქვეყნიდანაც, რადგანაც „დაპაუზებული“ ეკონომიკის პირობებში ჩვენს თანამემამულებს სულ უფრო ნაკლები თანხები დარჩებათ, რომელთა გამოგზავნასაც შეძლებენ თავიანთი ახლობლებისთვის.

კორონომიკური კრიზისის პირობებში პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში შემცირდება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, რაც უარყოფითად აისახება ქართული პროდუქციის ექსპორტზე. იმავე

მიზეზით შემცირდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შეაფერხებს.

ყოველივე ეს გამოიწვევს ლარის შემდგომ დევალვაციას. ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ლარის ნახტომისებური გაუფასურება გამოირიცხოს. ამისთვის კი საქართველოს ეროვნულ ბანკს დასჭირდება გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი, სავალუტო რეზერვების გამოყენების ჩათვლით, ლარის არანახტომისებური, თანდათანობითი გაუფასურების უზრუნველასყოფად.

საყურადღებოა, რომ ნავთობზე ფასების კლება, სხვა თანაბარ პირობებში, შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტში ნავთობპროდუქტებიდან დამატებული ღირებულების გადასახადისგანდააქციზურიგადასახადისგანმისალებშემოსავლებს. ნავთობპროდუქტებზე ფასების დონის კლების მოლოდინი კი, შესაძლოა, არცყო გამართლდეს, რადგანაც ნავთობიმპორტიორებმა ან/და სადისტრიბუციო/საცალო კომპანიებმა გაზრდილი მოგების მარჯზე, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, უარი არ თქვან.

აუცილებელია საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინოს, რომ კორონომიკური კრიზისის ეტაპზე უმთავრესი ამოცანაა ეპიდემიის დაძლევა ეროვნული ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანის მინიმიზაციის პირობებში. რაც შეეხება პოსტკრიზისულ პერიოდს, ის საჭიროებს ეკონომიკის აღორძინების სტიმულირების სპაციალურ პროგრამას, რაც ცალკე იქნება გასაკეთებელი.

## შენიშვნები

1. "WHO Director-General's Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 - 11 March 2020." *World Health Organization*, 2020, March 11, <[www.who.int/dg-speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020](http://www.who.int/dg-speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020)>.
2. Pei M. "Will the Coronavirus Topple China's One-Party Regime?" *Project Syndicate*, 2020, March 4, <[www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-china-political-consequences-by-minxin-pei-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=5a74e31e27-sunday\\_newsletter\\_08\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc\\_cid=5a74e31e27&mc\\_eid=e9fb6cbcc0](http://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-china-political-consequences-by-minxin-pei-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5a74e31e27-sunday_newsletter_08_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc_cid=5a74e31e27&mc_eid=e9fb6cbcc0)>%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%98%20([www.thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran](http://www.thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran)).
3. Faddis C. S. "Coronavirus: The True Face of Iran." *The Hill*, 2020, March 3, <[www.thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran](http://www.thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran)>.
4. Sachs J. "The Trump Administration's Ludicrous Approach to Coronavirus Vaccine." *CNN Opinion*, 2020, March 5, <[www.edition.cnn.com/2020/03/05/opinions/ludicrous-plan-coronavirus-vaccine-opinion-sachs/index.html](http://www.edition.cnn.com/2020/03/05/opinions/ludicrous-plan-coronavirus-vaccine-opinion-sachs/index.html)>.
5. Stiglitz J. E. "Plagued by Trumpism." *Project Syndicate*, 2020, March 9, <[www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=cba7e1c6a1-sunday\\_newsletter\\_15\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc\\_cid=cba7e1c6a1&mc\\_eid=e9fb6cbcc0](http://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
6. Geller A., Wiseman P., Rugaber C. "Outbreak Starts to Look More Like Worldwide Economic Crisis." *Herald Tribune*, 2020, February 28, <[www.heraldtribune.com/business/20200228/outbreak-starts-to-look-more-like-worldwide-economic-crisis](http://www.heraldtribune.com/business/20200228/outbreak-starts-to-look-more-like-worldwide-economic-crisis)>.
7. მაგალითად, Maresso A., Mladovsky P., Thomson S., Sagan A., Karanikolos M., Richardson E., Cylus J., Evetovits T., Jowett M., Figueiras J., Kluge H., eds. *Economic Crisis, Health Systems and Health in Europe. Country experience*. Copenhagen, World Health Organization, 2015, <[www.euro.who.int/\\_\\_data/assets/pdf\\_file/0010/279820/Web-economic-crisis-health-systems-and-health-web.pdf?ua=1](http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0010/279820/Web-economic-crisis-health-systems-and-health-web.pdf?ua=1)>.
8. *Impact of Economic Crises on Mental Health*. Copenhagen, World Health Organization, 2011, <[www.euro.who.int/\\_\\_data/assets/pdf\\_file/0008/134999/e94837.pdf?ua=1](http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0008/134999/e94837.pdf?ua=1)>.
9. Suhrcke M., Stuckler D., Suk J. E., Desai M., Senek M., McKee M., Tsolova S., Basu S., Abubakar I., Hunter P., Rechel B., Semenza J. C. "The Impact of Economic Crises on Communicable Disease Transmission and Control: A Systematic Review of the Evidence." *PLoS ONE*, 2011, June 10, <[www.journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0020724](http://www.journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0020724)>.
10. Geller A., Wiseman P., Rugaber C. "Outbreak Starts to Look More Like Worldwide Economic Crisis."

11. Riley C. "Coronavirus is Fast Becoming an 'Economic Pandemic'" *CNN Business*, 2020, February 25, <[www.edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html](http://www.edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html)>.
12. Alwis A. de. "Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!" *Daily FT*, 2020, February 25, <[www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109](http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109)>.
13. Eichengreen B. "Coronanomics 101." *Project Syndicate*, 2020, March 10, <[www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=cba7e1c6a1-sunday\\_newsletter\\_15\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc\\_cid=cba7e1c6a1&mc\\_eid=e9fb6cbcc0](http://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
14. Gigerenzer G. "Why What Does Not Kill Us Makes Us Panic." *Project Syndicate*, 2020, March 12, <[www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03](http://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03)>.
15. Carlsson-Szlezak P., Reeves M., Swartz P. "What Coronavirus Could Mean for the Global Economy." *Harvard Business Review*, 2020, March 3, <[www.hbr.org/2020/03/what-coronavirus-could-mean-for-the-global-economy](http://www.hbr.org/2020/03/what-coronavirus-could-mean-for-the-global-economy)>.
16. Roach S. S. "When China Sneezes." *Project Syndicate*, 2020, February 24, <[www.project-syndicate.org/commentary/china-coronavirus-shock-prospects-for-global-recession-by-stephen-s-roach-2020-02](http://www.project-syndicate.org/commentary/china-coronavirus-shock-prospects-for-global-recession-by-stephen-s-roach-2020-02)>.
17. პაპავა ვ. „კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე.“ *For.ge*, 2020, 21 მარტი, <[www.for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html](http://www.for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html)>.
18. Hatheway L. "A COVID-19 Emergency Response Plan." *Project Syndicate*, 2020, February 27, <[www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02](http://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02)>.
19. Roach S. S. "The False Crisis Comparison." *Project Syndicate*, 2020, March 19, <[www.project-syndicate.org/commentary/covid-19-crisis-nothing-like-2008-by-stephen-s-roach-2020-03](http://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-crisis-nothing-like-2008-by-stephen-s-roach-2020-03)>.
20. Rogoff K. "That 1970s Feeling." *Project Syndicate*, 2020, March 2, <[www.project-syndicate.org/commentary/next-global-recession-hits-the-supply-side-by-kenneth-rogoff-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=5a74e31e27-sunday\\_newsletter\\_08\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc\\_cid=5a74e31e27&mc\\_eid=e9fb6cbcc0](http://www.project-syndicate.org/commentary/next-global-recession-hits-the-supply-side-by-kenneth-rogoff-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5a74e31e27-sunday_newsletter_08_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc_cid=5a74e31e27&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
21. Papava V., Charaia V. "On Complex Inflation Targeting and Modified Inflation Indicators (Experience of Georgia)." *Finance: Theory and Practice*, 2019, Vol. 23, No. 3, <[www.financetp.fa.ru/jour/article/view/855/575](http://www.financetp.fa.ru/jour/article/view/855/575)>.
22. Stiglitz J. E. "The Failure of Inflation Targeting." *Project Syndicate*, 2008, May 6, <[www.project-syndicate.org/commentary/the-failure-of-inflation-targeting?barrier=accesspaylog](http://www.project-syndicate.org/commentary/the-failure-of-inflation-targeting?barrier=accesspaylog)>.
23. Åslund A. "Trump's Global Recession." *Project Syndicate*, 2020, March 13, <[www.project-syndicate.org/commentary/donald-trump-covid19-global-recession-by-anders-aslund-2020-03](http://www.project-syndicate.org/commentary/donald-trump-covid19-global-recession-by-anders-aslund-2020-03)>; Frankel J. "Will the Coronavirus Trigger a Global

Recession?" *Project Syndicate*, 2020, February 24, <[www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jeffrey-frankel-2020-02?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=11fa1362d7-sunday\\_newsletter\\_01\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc\\_cid=11fa1362d7&mc\\_eid=e9fb6cbcc0](http://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jeffrey-frankel-2020-02?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=11fa1362d7-sunday_newsletter_01_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc_cid=11fa1362d7&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

24. Derviş K., Strauss S. "What COVID-19 Means for International Cooperation." *Project Syndicate*, 2020, March 6, <[www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=cba7e1c6a1-sunday\\_newsletter\\_15\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc\\_cid=cba7e1c6a1&mc\\_eid=e9fb6cbcc0](http://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
25. Rapoza K. "Why Does Everyone Suddenly Want A Free Trade Deal With Georgia?" *Forbes*, 2020, March 5, <[www.forbes.com/sites/kenrapoza/2020/03/05/why-does-everyone-suddenly-want-a-free-trade-deal-with-georgia/#5a3f7e3850e6](http://www.forbes.com/sites/kenrapoza/2020/03/05/why-does-everyone-suddenly-want-a-free-trade-deal-with-georgia/#5a3f7e3850e6)>.
26. Morgan S. "UK mulls nationalising transport links during virus outbreak." *Euractiv*, 2020, March 18, <[www.euractiv.com/section/transport/news/uk-mulls-nationalising-transport-links-during-virus-outbreak/](http://www.euractiv.com/section/transport/news/uk-mulls-nationalising-transport-links-during-virus-outbreak/)>.
27. "Cost of Oil by Country." *Knoema*. March 10. 2020, <[www.knoema.com/vyronoe/cost-of-oil-production-by-country](http://www.knoema.com/vyronoe/cost-of-oil-production-by-country)>.
28. Amlot M. "Saudi Arabia to Boost Oil Exports to over 10 Million bpd: Ministry of Energy." *Al Arabia Business*, March 17, 2020, <[www.english.alarabiya.net/en/business/energy/2020/03/17/Saudi-Arabia-to-boost-oil-exports-over-10-million-barrels-per-day-Ministry-of-Energy.html](http://www.english.alarabiya.net/en/business/energy/2020/03/17/Saudi-Arabia-to-boost-oil-exports-over-10-million-barrels-per-day-Ministry-of-Energy.html)>.
29. Ebbs W. "This Is How Oil Prices Can Crash Below \$0 (Yes, Really)." *CCN*, March 18, 2020, <[www.ccn.com/this-is-how-oil-prices-can-crash-below-0-yes-really](http://www.ccn.com/this-is-how-oil-prices-can-crash-below-0-yes-really)>.
30. "Goldman Sachs cuts second-quarter Brent crude oil forecast to \$20/bbl." *Markets*, March 18, 2020, <[www.economictimes.indiatimes.com/markets/commodities/news/goldman-sachs-cuts-second-quarter-brent-crude-oil-forecast-to-20/bbl/articleshow/74689135.cms](http://www.economictimes.indiatimes.com/markets/commodities/news/goldman-sachs-cuts-second-quarter-brent-crude-oil-forecast-to-20/bbl/articleshow/74689135.cms)>.
31. Frank T. "Trump to buy oil for strategic reserve to aid energy industry: 'We're going to fill it'." *CNBC*, March 13, 2020, <[www.cnbc.com/2020/03/13/trump-asks-energy-department-to-purchase-oil-for-the-strategic-petroleum-reserve.html](http://www.cnbc.com/2020/03/13/trump-asks-energy-department-to-purchase-oil-for-the-strategic-petroleum-reserve.html)>.
32. Ebbs W. "This Is How Oil Prices Can Crash Below \$0 (Yes, Really)." <[www.ccn.com/this-is-how-oil-prices-can-crash-below-0-yes-really](http://www.ccn.com/this-is-how-oil-prices-can-crash-below-0-yes-really)>
33. Burns S. "What Happens If Oil Prices Go Negative?" *Markets Insider*, March 21, 2020, <[www.markets.businessinsider.com/news/stocks/what-happens-if-oil-prices-go-negative-1029019920](http://www.markets.businessinsider.com/news/stocks/what-happens-if-oil-prices-go-negative-1029019920)>.
34. მაგალითად, Bolton D. "People in Germany are Now Being Paid to Consume Electricity." *INDEPENDENT*, March 11, 2020, <[www.independent.co.uk/environment/renewable-energy-germany-negative-prices-electricity-wind-solar-a7024716.html](http://www.independent.co.uk/environment/renewable-energy-germany-negative-prices-electricity-wind-solar-a7024716.html)>; Cunningham N. "Natural Gas Prices Fall Below Zero In Texas." *Oil Price*, November 28, 2018, <[www.oilprice.com/Energy/Gas-Prices/Natural-Gas-Prices-Fall-Below-Zero-In-Texas.html](http://www.oilprice.com/Energy/Gas-Prices/Natural-Gas-Prices-Fall-Below-Zero-In-Texas.html)>.